საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალავერდი

ალავერდი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

ალავერდი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კლდეეთის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. თურუნის (ბორიმელის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 330 მ, ზესტაფონიდან 8 კმ. 312 მცხ. (2014).

სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე დგას XIX ს. დარბაზული ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა აღმართულია 50 სმ სიმაღლის ცოკოლზე. ნაშენია მოყვითალო-მოთეთრო ფერის კირქვით. კუთხეებში, ზოგ ადგილას, ჩატანებულია გათლილი შირმის ქვები. ზემოთ კედლები დაგვირგვინებულია თლილი ქვის პროფილირებული კარნიზით, შესასვლელი სამია – სამხრ., დას. და ჩრდ-იდან. შიგნით, აღმ. აფსიდის მხარეს კუთხეები მომრგვალებულია. აფსიდს კონქი არა აქვს. სამხრ. და ჩრდ. შესასვლელების ორივე მხარეს პილასტრებია ამოყვანილი.

ძეგლი რესტავრირებულია 1984 (არქიტექტორები რ. გურამიშვილი, თ. მიქაუტაძე).